



# ახალი განათლება

02-08.05.2019

№17 (851) გასული 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge



## AFFILIATE OF ENQA

### საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეს უახლოვდება

ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) პრეზიდენტმა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ევროპული ცენტრის წევრობის შესახებ გადაწყვეტილება 25 აპრილს, ესტონეთში, ტალინში გამართულ ხიგით მე-9 ყოველწლიურ ფორუმზე მიიღო.

„ეს არის უდიდესი მიღწევა უმაღლესი განათლების სისტემისთვის - ევროპული აღიარება იმისა, რომ დღეს საქართველოში მოქმედი განათლების ხარისხის განვითარების სტანდარტები და პოლიტიკები ევროპული სტანდარტის შესაბამისია. ეს აღიარება ეონეხეურ შედეგებშიც აისახება - საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი ნდობის გაზრდა, მათი მიზნობრივად უცხოელი სტუდენტებისთვის, პოტენციური-მასწავლებლებისთვის და საქართველოში გაცემული დიპლომების აღიარების გამატილებად ევროპაში.“ - ბიოჩი პაშაიძე

### კვლევითი დასახელებად როგორ დავწეროთ კვლევითი პროექტის კვლევის ანბარი

ბიოჩი პაშაიძე  
მანუელის მეოთხე საჯარო სკოლის  
მასწავლებელი

გვერდი 2

### სამოღვაწე გაკვეთილი NATÜRMORT ნატურმორტი

ბაშა სელიმანოვი  
დმანისის მუნიციპალიტეტის  
სოფელ ზემო მხოზმანის საჯარო სკოლის  
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების  
მასწავლებელი

გვერდი 4

### გამოსვლა დიფერენცირებული სწავლებით მიღწეული შედეგები

ნათია ნაღაიძე  
იგანჩაის საჯარო სკოლის  
ქონსულტანტი მასწავლებელი,  
პროგრამა "ანავე საქართველოსთვის"

გვერდი 5



### დღიური ბანი ბილი- ეფერტული თამბაქბი საქართველოში

გვ. 6

საარსის განვითარება

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეს უახლოვდება



ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) პრეზიდენტმა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა...

სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას; ცენტრის რეგისტრირებას უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR)...

ფილა ჩვენი ცენტრის განაცხადი სრულ ნებართვას უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ENQA-ს ოქტომბრის ასამბლეაზე გაფორმდება...

„ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაცია (ENQA)“ ევროპაში ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ეს არის უდიდესი მიღწევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისთვის...

გიორგი შარვაშიძე, თსუ-ს რექტორი აღნიშნავს, რომ 4 წელია, რაც განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი და განათლების სამინისტრო ამაზე მუშაობენ. „ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, შეიქმნა უამრავი დოკუმენტი, შევიდა ცვლილებები კანონში და ა.შ. ეს ძალიან სერიოზული ნივთიერებაა ნაბიჯია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ძალიან მივუახლოვდეთ უკვე EQAR-ში განვითარებას, რაც ჩვენი თანამშრომლობის შემდეგი ეტაპია.“

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოციაციის შეთანხმებით, ქვეყანამ იკისრა ვალდებულება, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა, ეტაპობრივად, დაუახლოვდეს „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეს“. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ევროპული მექანიზმებისა და სტანდარტების დანერგვა...

ამ პროცესის გარდა, დღევანდელი გადაწყვეტილების მიღებაში უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს მთავრობის ინიციატივამ, რომლის მიხედვით, განათლების სფეროში მიმართული დაფინანსება, ყოველწლიურად, გაიზარდება. ამ გადაწყვეტილებით ENQA-მ ნდობა გამოიხატა და, ამავედროულად, დაგვეკისრა უდიდესი პასუხისმგებლობაც, რომელსაც განათლების რეფორმის ფარგლებში, მთლიანი სისტემის ტრანსფორმაციით უნდა გავართვათ თავი“ – აღნიშნავს მიხეილ ბატიაშვილი.

თეონა ხუფუნია, ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამბობს, რომ ქართული უნივერსიტეტები კომპლექსურად და სიღრმისეულად შეფასდა – ინტერნაციონალიზაცია, უწყვეტი განათლება, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, დანერგვის სფეროში პირთა ჩართულობის ხარისხი და ა.შ. ეს არის სწორედ ის რეგულაციები, რომელიც გვაახლოვებს ევროპულ სივრცესთან, ნევრობა კი ავტომატურად გულისხმობს სრულიად თავისებურად მექანიზმებსა და სტანდარტებს ხარისხის უზრუნველსაყოფად.

განახლებული სტანდარტები და პროცედურები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების კომპლექსურ და სიღრმისეულ შეფასებას, დაინტერესებული მხარეების მათქმულ ჩართულობას, უწყვეტ განვითარებას, ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალობას. განათლების სამინისტროში ამბობენ, რომ განათლების ხარისხის ევროპულ ასოციაციაში (ENQA) განვითარებით, საქართველო ევროპულ ოჯახს კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი – განათლების მიმართულებით შეუერთდება. ამ ნაბიჯით ქართული უნივერსიტეტების სანდობაც გაიზარდება და გაძლიერდება უმაღლესი სასწავლებლების პარტნიორობა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საერთაშორისო მობილობას.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, გიორგი ვაშაქიძის აზრით, ეს გადაწყვეტილება ნიშნავს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის, კერძოდ, ხარისხის განვითარების სისტემის აღიარებას ევროპული კოლეგების მხრიდან, ასევე ნიშნავს იმას, რომ მომავალში გაიზარდება სანდობა საქართველოში აკრედიტებული და ავტორიზებული პროგრამების და უნივერსიტეტების მიმართ და ჩვენს სტუდენტებს, რომლებიც ევროპაში წავლენ, სასწავლებლად თუ სამუშაოდ, ნაკლები პრობლემები შეექმნებათ ან საერთოდ აღარ შეექმნებათ პრობლემები დიპლომებისა და კვალიფიკაციების აღიარებასთან დაკავშირებით.

ENQA-ში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განვითარება მნიშვნელოვან და შეუწყობს ხელს: საქართველოში მინიჭებული კვალიფიკაციების და გაცემული დიპლომების სრულად და ავტომატურად აღიარებას ევროპაში; საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების შეფასების სისტემისადმი სანდოობის მალად დონეს; უნივერსიტეტების საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებას ევროპულ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებთან;

„დღეს ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის პრეზიდენტმა (ENQA) დააკმაყოფილა ევროპული ქსელის პრეზიდენტმა“

მოამზადა ლალი თვალაბიძე

კედაგოვით დასახარებლად

როგორ დავწეროთ კედაგოვიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

წინამდებარე ნაშრომში გამოიხატა პრაქტიკის კვლევის ანგარიშის კვლევის ჩატარებისა და მისი ანგარიშის დაწერის მსურველი მასწავლებლებისთვის. ფონზე შემოთავაზებული რეკომენდაციები, თუ რა და როგორ უნდა აღინიშნოს ანგარიშის ან თუ იმ ნაწილში, სრულად ან ნაწილობრივ მითითებული კონკრეტულ მასალებთან მიმართებით მოქმედების ანგარიში.

თავდაპირველი, სადაც იწერება პრაქტიკის კვლევის სათაური, ავტორი, სკოლა და თარიღი. სასურველია, სათაურში მკაფიოდ იყოს გადმოცემული კვლევის მთავარი არსი და შინაარსი. ცხადია, არაა საჭირო მასში აუცილებლად გამოვიყენოთ კითხვის სიტყვა ისე, როგორც ქვემოთაა მოცემული. ქვემოთ წარმოდგენილი სათაური კითხვის სიტყვის „როგორ“ გარეშე შეიძლება დაგვეწერა: „განაფიქვანი კითხვის კომპეტენციის გაუმჯობესება არაქართულენოვანი სკოლის მეხუთე კლასში“.

როგორ გავაუმჯობესოთ განაფიქვანი კითხვის კომპეტენცია არაქართულენოვანი სკოლის მეხუთე კლასში სსიპ ქალაქ მარნეულის მეორე საჯარო სკოლის მასწავლებელი გიორგი ჭაუჭიძე 20185.

სარჩები

აქ იწერება პრაქტიკის კვლევის ანგარიშის მსხვილი თავები (სურვილის მიხედვით, ქვეთავები) შესაბამისი გვერდების მითითებით. აქ შემოთავაზებული გვერდები, ცხადია შეიცვლება იმისდა მიხედვით, თუ რამდენჯერ დანი იქნება თქვენი ანგარიში და თითოეული თავი რამდენ გვერდს დაიკავებს. ცხადია, ანგარიშის გვერდები დანომრილი იქნება.

შესავალი ..... სიტუაციის ანალიზი და საკვლევი საკითხი ..... ლიტერატურის მიმოხილვა ..... საკვლევი საკითხის შესწავლა და კვლევის მეთოდები ..... ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება ..... შედეგების ანალიზი .....

მიგნებები, დასკვნები, რეკომენდაციები ..... გამოყენებული ლიტერატურა ..... დანართი .....

შეასაჯალი (სავარაუდო მოცულობა – 1-2 გვერდი)

აქ დაიწერება ზოგადი ხასიათის შესავალი, ვინ ვარ, სად ვმუშაობ, რა გამოცდილება მაქვს. რატომ გადაწყვიტე კვლევის ჩატარება, მართო ჩავატარე თუ კოლეგასთან ერთად, შესაძლოა, მადლობა გადავუხადოთ მათ, ვინც რაიმე დახმარება გავიწინა კვლევის ჩატარების პროცესში (გავითვალისწინოთ, რომ ეს კვლევის ანგარიში იწერება მას შემდეგ, რაც კვლევის ყველა პროცედურა განხორციელებული გვაქვს. ცხადია, იგულისხმება, რომ ჩანაწერთა დიდი ნაწილი უკვე „დაწერილია“ კვლევის მიმდინარეობის დროს.) შესავლისთვის სრულიად საკმარისია ერთი გვერდის მოცულობა ან ნახევარი გვერდიც კი.

წინამდებარე კვლევის ანგარიში ასახავს ჩემ მიერ განხორციელებულ პრაქტიკის კვლევას, რომელიც ჩავატარე სსიპ ქ. მარნეულის მეორე საჯარო სკოლაში.

ამ სკოლაში ვმუშაობ 2016 წლიდან და ვასწავლი ქართულს, როგორც მეორე ენას. აღსანიშნავია, რომ ჩემი მოსწავლეების დიდი უმრავლესობა ეთნიკური ზურბაძეანელები არიან და მათთვის ქართული არაა მშობლიური ენა. სამწუხაროდ, უმრავლესი მათგანისთვის სკოლაში მოსვლამდე ქართული არ წარმოადგენს საკომუნიკაციო საშუალებას და პირველკლასელებმა თითქმის არ იციან ის ენა, რომელსაც მე ვასწავლი. ამიტომაც დიდი მუშაობა გვიწევს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კითხვის უნარის ეფექტურად დაუფლებას. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ პრობლემებია არა მხოლოდ მეორე ენის, არამედ ქართულის, როგორც მშობლიური ენის შემსწავლელთა შორისაც.

მე გადაწყვიტე, საკუთარი პრაქტიკა მეკვლია მეხუთე კლასში და საკვლევი საკითხად შევარჩიე სწორედ კითხვის უნარჩვევის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტი – განაფიქვანი კითხვა. სიტუაციის ანალიზი და საკვლევი საკითხი (1-3 გვერდი)

ამ ნაწილში უნდა განვსაზღვროთ სამიზნე ჯგუფი, აღვწეროთ ის სიტუაცია, რომელიც უშუალოდ იმ კლასშია შექმნილი, რომელშიც კვლევას ვატარებთ და ის საკითხი, რომლის კვლევაც

გინდა. აქვე უნდა გამოვკვეთოთ საკვლევი საკითხი, კვლევის მიზანი/მიზნები, საკვლევი შეკითხვები და ჩვენი ჰიპოთეზები.

პრაქტიკის კვლევის ჩატარება გადაწყვიტე მეხუთე კლასში, რომელსაც უკვე მეორე წელიწადია, რაც ვასწავლი, ანუ კვლევის სამიზნე ჯგუფია მეხუთე კლასის მოსწავლეები. კლასში სწავლობს 26 მოსწავლე და მათ შორის არც ერთი არაა სსსმ მოსწავლე. კლასი საშუალო სტატისტიკური მოსწავლესაა, სადაც მესამედი მაღალი მონაცემებით გამოირჩევა, მეორე მესამედი – საშუალო მონაცემებით, ხოლო მესამე მესამედი ძველად აღწევს სტანდარტის მოთხოვნებს.

საკვლევი საკითხის შერჩევა განაპირობა მისმა აქტუალობამ. მიმაჩნია, რომ დანებებით საფეხურზე კითხვის უნარ-ჩვევა ერთ-ერთი ის საყრდენია, რომელზეც უნდა დაფუძნდეს არა მხოლოდ ქართულის საგნობრივი მიღწევები, არამედ ყველა საგნის შედეგებიც (მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა ამ მოსწავლეების სწავლის ენა არაა სხვა საგნებში, კითხვის კომპეტენცია ერთგვარად ტრანსფერული უნარია, ანუ ერთ ენაზე ამ კომპეტენციის განაფიქვანი გამოიწვევს მეორე/სხვა ენაზეც მის გაუმჯობესებას).

საკვლევი საკითხი ჩამოვყალიბეთ შემდეგნაირად: განაფიქვანი კითხვის უნარის გაუმჯობესება მეხუთე კლასში, ანუ კითხვის კომპეტენციაში გამოყვავით ერთ-ერთი კომპონენტი, კერძოდ, განაფიქვანობა (მოქნილობა, გამართულობა) და გადაწყვიტე, გვეკვლია ამ კომპონენტის მდგომარეობა, არსებული პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და იმ გზების ეფექტურობა, რომელიც კვლევის ფარგლებში შევარჩიეთ. შესაბამისად, განვსაზღვრეთ კვლევის მიზანი: განვსაზღვროთ მეხუთეკლასელთა კითხვაში განაფიქვანობის კომპონენტში პრობლემების მიზეზები და ვიპოვოთ ამ პრობლემათა გადაჭრის გზები.

კვლევის დასაწყისში გაჩნდა გარკვეული ჰიპოთეზები, რომლებიც სრულად დადასტურდა კვლევის მიმდინარეობის პროცესში და მისი დასრულების შემდგომ. კერძოდ, განაფიქვანი კითხვაში დაბალი შედეგები განაპირობებს ნაკითხული ტექსტის აღქმის დაბალ მაჩვენებლებს. განაფიქვანი კითხვაში დაბალი შედეგები აქვთ იმ მოსწავლეებს, რომლებიც ჩამორჩებიან ლექსიკური მარაგით. განაფიქვანი კითხვის უნარზე მიზნობრივი მუშაობა მოსწავლეებში კითხვის კომპეტენციის გაუმჯობესებას გამოიწვევს.

კვლევა დასახარებად

ანგარიშის ამ ნაწილში, კარგი იქნება, მოვიხსნოთ ეროვნული სასწავლო გეგმის ის მონაკვეთი, რომელსაც შეეხება ჩვენი კვლევა. ზოგადად, სასურველი და აუცილებელია პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა შეეხებოდეს სტანდარტის მიზნებსა და შედეგებს. რომ ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემა, საკვლევი საკითხი და დაგეგმილი ინტერვენციები ემსახურებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

კვლევის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის ეთიკის საკითხები. კარგი იქნება, თუ ამის შესახებაც აქვე, ანგარიშის დასაწყისში აღვნიშნავთ. კვლევის ეთიკა გულისხმობს სამ რამეს: 1. ჩვენ მიერ განხორციელებული ინტერვენციები კვლევის პროცესში ჩართული სამიზნე ჯგუფისთვის არ შეიცავდა არანაირ რისკს; 2. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში ჩართული მოსწავლეები და მათი მშობლები, ინფორმირებული იყვნენ ჩვენი მიზნებისა და საქმიანობის შესახებ; 3. კვლევის ფარგლებში მოპოვებული პირადი მონაცემები, მოსწავლეებისა თუ მათი მშობლების, იქნება მხოლოდ ზოგადი დასკვნების ფორმატში განალაგებული და არ დაეკავშირება ინდივიდუალურ გამოქვეყნებას.

ლიტერატურის მიმოხილვა (7-12 გვერდი)

იდენტიფიცირებული პრობლემის მიხედვით გამოვკვეთთ საკვლევი საკითხი, ანუ ჩვენმა კვლევამ უნდა მოგვაცხადოს მერჩეული პრობლემა, მაგრამ ამისთვის საჭიროა გადავდგათ კვალიფიციური ნაბიჯები. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ვეცდებით სხვათა გამოცდილებას და თეორიულ ნაშრომებს.

ლიტერატურის გაცნობის შედეგად ჩვენ უნდა შევარჩიოთ ის გზები/მეთოდები/სტრატეგიები, რომელსაც გამოვიყენებთ ჩვენი პრობლემის მოსაგვარებლად. ამ ყველაფერს აღვწერთ კვლევის ანგარიშის ამ ნაწილში.

შეგიძლია კვლევის ანგარიშის ეს თავი დავწეროთ ორი გზით: 1. ავიღოთ ერთი წიგნი (პუბლიკაცია, ვიდეორესურსი, ციფრული რესურსი...), რომელიც, რასაკვირველია, უკავშირდება ჩვენს საკვლევ თემატიკას (ამ შემთხვევაში – განაფულ კითხვას) და მოკლედ მიმოვიხილოთ, აღვწერთ. შემდეგ ავიღოთ მეორე წიგნი და იქიდან ამოვიწეროთ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია, შემდეგ – მესამე და ა.შ. 2. საკვლევი საკითხი დაგეგმილ რამდენიმე კომპონენტად (მაგალითად, განაფული კითხვის დიაგნოსტიკა, განაფული კითხვის დაბალი მაჩვენებლების გამოწვევი მიზეზები, განაფული კითხვის უნარის გაუმჯობესების სტრატეგიები, განაფული კითხვის უნარის შეფასება...) და ამ კომპონენტების მიხედვით ავაგოთ ლიტერატურის მიმოხილვა, ანუ პირველ რომელიმე კომპონენტზე (მაგალითად, განაფული კითხვის უნარის დიაგნოსტიკა) დავწეროთ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია პირველი წიგნიდან, მეორე წიგნიდან, მესამე წიგნიდან და ა.შ. შემდეგ მეორე კომპონენტზე დავწეროთ ყველაფერი ჩვენ მიერ წაკითხული წიგნიდან (ნახაზი მასალიდან), შემდეგ – მესამე კომპონენტზე და ა.შ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ თავის წერის დროს საჭიროა იმ წიგნის/პუბლიკაციის მითითება, საიდანაც მოგვყავს ესა თუ ის ინფორმაცია. წყაროს მითითებისას ფრჩხილებში ვწერთ ავტორის გვარსა და გამოცემის წელს. შეგიძლიათ მიუწეროთ გვერდიც (ლიბრარტელიანი 2018, 85).

აქვე მიმოვიხილოთ წყაროს მითითების რამდენიმე ვერსია. თუკი ლიტერატურის მიმოხილვისას პირველ გზას ავირჩევთ, მიუხედავად ერთ კონკრეტულ წყაროს. მაგალითად (აბაშიძე 2014 : 57), სადაც „აბაშიძე“ ნაშრომის/წიგნის ავტორია, „2014“ ნაშრომის გამოქვეყნების წელი, ხოლო „57“ იმ გვერდის ნომერი, სადაც ლიტერატურის მიმოხილვაში ჩვენ მიერ გადმოტანილი მოსაზრება/იდეა წერია იმ ავტორის (აბაშიძის) იმ ნაშრომში.

თუკი ლიტერატურის მიმოხილვის მეორე გზას ავირჩევთ, ანუ საკვლევ საკითხს დავყოფთ კომპონენტებად და თითოეული კომპონენტის შესახებ სხვადასხვა წყაროს/ნაშრომს მიმოვიხილავთ, მაშინ ერთ მოსაზრებას/იდეას დასაბუთებდა ორი ან მეტი წყაროს მითითება. მაგალითად (აბაშიძე 2014 : 234, ჯაფარიძე 2013 : 567), სადაც „აბაშიძე“ პირველი ნაშრომის ავტორს წარმოადგენს, „2014“ – მის გამოცემის წელს, „234“ – იმ გვერდს, სადაც ჩვენ მიერ მოხმობილი მოსაზრება წერია, „ჯაფარიძე“ მეორე ნაშრომის ავტორია, „2013“ – მეორე ნაშრომის გამოცემის წელი, ხოლო „567“ – ამ მეორე ნაშრომის გვერდი, სადაც ჩვენ მიერ მოხმობილი იგივე მოსაზრებაა წარმოდგენილი.

განაფული კითხვის უნარი ერთ-ერთი საყრდენი კომპონენტია კითხვის უნარის სრულფასოვნად ათვისების გზაზე. მის განვითარებაზე დახარჯული დრო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლების დაწყებით საფეხურზე, რადგან ამის გარეშე ძნელად ყალიბდება ეფექტური დამწყები მკითხველი (პაპავა 1998 : 34, ხუხუა 2012 : 56).

ზემოთ მოხმობილი ნიმუში ლიტერატურის მიმოხილვიდან, რომელიც მოდელირებულია, მოგონილია ჩემ მიერ და არ შეესაბამება რეალურს, მიგვითითებს, რომ განაფული კითხვის მნიშვნელობის შესახებ კვლევის ავტორს ამოუკითხავს ორ წყაროში/ნაშრომში და ერთობლივად უთითებს ორივეს.

აღსანიშნავია, რომ ერთობლივი მითითება არ გამოვადგება, როდესაც მიახლოებით შინაარსს, პერიოდსა და არ ვაკეთებთ რომელიმე მოსაზრებისას, არამედ ციტატა მოგვყავს. ამ შემთხვევაში ერთ ციტატას ცალკე მივუთითებთ თავის ავტორს, მეორეს – ცალკე. ცალ-ცალკე იქნება საჭირო მითითება მაშინაც, როდესაც სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები მცირედით, მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. აღარაფერს ვამბობ იმ შემთხვევაზე, როდესაც საინადადმდეგო მოსაზრებები მოგვყავს ერთ კონკრეტულ საკითხზე. იხილეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითი, სადაც მითითებები ასევე მოდელირებულია, ანუ გამოგონილია.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ განაფულ კითხვაზე ორიენტირებული აქტივობები უნდა დავინყოთ პირველივე კლასში, საანბანო პერიოდშივე (ჭაუჭიძე 2015 : 12). აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას ყველა მკვლევარი არ იზიარებს და აღნიშნავენ, რომ განაფული კითხვის განვითარებაზე ზრუნვა უნდა დავინყოთ პოსტანბანო პერიოდში, მას შემდეგ, რაც ბავშვები ასე თუ ისე დაეუფლებიან ასოებს (ბესელია 1998 : 34).

საკვლევი საკითხის შესწავლა და კვლევის მიმოხილვა (5-9 გვერდი)

აქ აღინიშნება ყველაფერი, რაც ასახავს თქვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს საკვლევი საკითხის შესწავლის გზაზე. რა გააკეთეთ პრობლემური საკითხის იდენტიფიცირებისთვის, მისი გამოწვევი მიზეზების დასადგენად, არსებული მდგომარეობის დასაფიქსირებლად.


აქვე აღწერთ კვლევის რომელი მეთოდები გამოიყენეთ ამ პროცესში (დაკვირვება, დიაგნოსტიკური ტესტირება, ანკეტირება, ინტერვიუება, ფოკუსჯგუფი...) და იმ მონაცემებსაც, რაც შეაგროვეთ ამის შედეგად. შესაბამისად, დაგვიგროვებთ როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდებით მოპოვებული მონაცემები (კარგი იქნება, თუ კვლევის დაწყებამდე კარგად გავცნობთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს).

საკვლევი საკითხის შესწავლის მიზნით შევისწავლე მოსწავლეთა მონაცემები განაფული კითხვის უნარში. ამისთვის ჩავატარე დიაგნოსტიკური ტესტირება, რისთვისაც გამოვიყენე დიაგნოსტიკური ტესტები (ტესტის ნიმუში იხ. დანართში). ტესტირების ჩატარების მიზნით შევარჩიე ტესტი, რისთვისაც გამოვიყენე .....

ტესტირების ჩატარების შედეგად მივიღე შემდეგი მონაცემები:

კლასში მყოფი 26 მოსწავლიდან.....

კარგი იქნება, თუ რაოდენობრივ მონაცემებს დიაგრამების სახითაც წარმოადგენთ.



განაფული კითხვის დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგები კვლევის დასაწყისში

თვისებრივი მონაცემები შეიძლება წარმოვადგინოთ ციტატების, ფაქტების აღწერის, დასკვნების, განზოგადებების, მოსაზრებების სახით.

ფოკუსჯგუფში მონაწილე მშობლები აცხადებენ, რომ მათი შვილები შინ თითქმის არ უთმობენ დროს დამატებითი ლიტერატურის კითხვას. „როდესაც სახლში მოდის ნიკა (სახელი შეცვლილია), ამზადებს მხოლოდ დავალებებს და სკოლის გარდა სხვა წიგნებს თითქმის არ კითხულობს.“ – აცხადებს ერთ-ერთი მშობელი და მის აზრს, ძირითადად, სხვებიც ეთანხმებიან.

არ დაგვავიწყდეს, რომ ეს მონაცემები ასახავს კვლევის საწყის ეტაპს და, შესაბამისად, დაგვჭირდება კვლევის ფარგლებში დავამოიხილოთ ინტერვიუების დასრულების შემდეგ შედეგების გაზომვაც, იმავე ან სხვა დამატებითი მეთოდების გამოყენებით.

ინტერვენციების აღბეჭდვა და განხორციელება (5-15 გვერდი)

არსებული მდგომარეობა შესწავლილი გვაქვს, ლიტერატურას გავცანით, სადაც სხვადასხვა რჩევა, სტრატეგია, მეთოდი შევარჩიეთ სწორედ იმ პრობლემის გადასაჭრელად, რაც ჩვენს წინაშეა. ჰოდა, ამის საფუძველზე დავგეგმავთ იმ ნაბიჯებს, რასაც გავაკეთებთ მომდევნო ერთი სემესტრის (ან სამი თვის) განმავლობაში ჩვენი სამიზნე პრობლემის აღმოსაფხვრელად. სწორედ ეს ინტერვენციები, ანუ ის აქტივობები აღინიშნება აქ, რაც დავგეგმავთ და რაც განვახორციელებთ.

სასურველია, დანერგვით წარმოვადგინოთ ის სურათი, რომელიც მივიღეთ ამ ნაბიჯების გადადგმის დროს: როგორ ვმუშაობდით, რას ვაკეთებდით ჩვენ, როგორ მუშაობდნენ ბავშვები და როგორ ლეზულობდნენ ჩვენ მიერ მიწოდებულ ინტერვენციებს.

სხვადასხვა თეორიული ნაშრომისა და კვლევების პრაქტიკის კვლევის დაგეგმვის შემდეგ, შევარჩიე რამდენიმე ეფექტური სტრატეგია, რომელიც მოსწავლეებში ავითარებს განაფული კითხვის უნარს. მათი გამოყენებით დავგეგმე გაკვეთილები და სისტემატურად ვმუშაობდი ჩემს მესხეთეკლასელებთან. თანმიმდევრობით მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

განმეორებითი კითხვის აქტივობა

ეს აქტივობა მოსწავლეებში ავითარებს განაფული კითხვის უნარს და კითხვას ხდის საინტერესო პროცესად. ჩემი მეხუთეკლასელები დიდი ხალისით მონაწილეობდნენ მასში.

მე შევარჩიე ადეკვატური სირთულის მხატვრული ტექსტი და სათითაოდ წავაკითხე მოსწავლეებს. ამისთვის გამოვიყენე დამატებითი ინდივიდუალური მუშაობის ფორმატი. ტექსტის სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა გავყავი მის წაკითხვაზე დახარჯულ დროზე და მივიღე ე. წ. წსნს (წუთში სწორად წაკითხული სიტყვების) რაოდენობა, რომელიც დავავიქსირე კონკრეტული მოსწავლის მონაცემად.

ორი დღის შემდეგ იგივე ტექსტი ისევ წავაკითხე, ისევ ინდივიდუალურად, მოსწავლეებს და კვლავ დავუთავაღე რამდენი სიტყვა წაკითხა წუთში მოსწავლემ. ცხადია, შედეგი გაუმჯობესებული იყო. და მესამე მცდელობაზე ბავშვი უკვე აზარტით ცდილობდა, კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა თავისი შედეგი.

აღნიშნული აქტივობის წარმართვამ ყველა მოსწავლემში გამოიწვია საკუთარი შედეგების გაუმჯობესება. ამასთან, ისინი მოტივირებულად იყვნენ ჩართულნი კითხვის პროცესში.

ასევე აღწერთ სხვა ეფექტურ მეთოდებსა და აქტივობებს. ამ აქტივობების ასეთი აღწერა შეიძლება გვერდეს ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში თავისი წყაროს მითითებით. ასეთ შემთხვევაში, აქ მოკლედ მიმოვიხილავთ ჩვენ მიერ წარმართულ პრო-

ცესს. კარგი იქნება მოსწავლეთა შედეგების აღრიცხვის ფურცლების ფოტოების მოხმობა, ცხადია, კვლევის ეთიკის პრინციპების გათვალისწინებით – კონფიდენციალობის დაცვით.

შედეგების ანალიზი (3-7 გვერდი)

აქ უნდა აღვწეროთ ის ყველაფერი, რაც მივიღეთ კვლევის პროცესში განხორციელებული ქმედებების შედეგად. ძირითადად, აქ იგულისხმება ჩვენი მოსწავლეების სასწავლო შედეგები. შესაბამისად, გამოყენებული იქნება როგორც წერილობითი აღწერილობები, ასევე დიაგრამები, ფოტომასალა და ნებისმიერი მონაცემი, რაც კი ჩვენს შედეგებს წარმოაჩენს.

კარგია, როდესაც ეს შედეგები შედარდება კვლევის დასაწყისში არსებულ მდგომარეობას. შესაბამისად, შედეგების გასაზომად ისევ გამოვიყენებთ ტესტირების (ან/და სიტუაციის გაზომვის სხვა ინსტრუმენტს) იმ ფორმატს, რომელიც კვლევის დასაწყისში გამოვიყენეთ არსებული მდგომარეობის იდენტიფიცირების დროს.

როგორც წესი, კვლევის დასასრულს მიღებული შედეგი გაუმჯობესებული უნდა იყოს, რაც დაადასტურებს ჩვენ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს კვლევის ეთიკის პრინციპებიც. როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ კვლევის ბოლოს მიღებული შედეგი არაა გაუმჯობესებული? ხელოვნურად ხომ არ გავზრდით მათ? (ცხადია, არა! დავიმასხვროთ, რომ კვლევის შედეგად საინტერესო არაა გაუმჯობესებული ან, ღმერთმა დაგვიფაროს, გაუარესებული შედეგიც. ჩვენ პატიოსნად დავაფიქსირებთ – ამას ითვალისწინებს კვლევის ეთიკაც, – რომ ამა და ამ ინტერვენციებს არ გამოუწვევია დადებითი ცვლილებები მოსწავლეებში და გავაკეთებთ საჭირო დასკვნებს, რომ სხვა ფაქტორებმა იმუშავა არასაკამრისად ა.შ.

მიზნებაში, დასკვნები, რამომდინაში (1-3 გვერდი)

აქ იწერება ის მიზნები, რაც გამოიკვეთა ჩვენი კვლევის პროცესში. ანგარიშში აგრეთვე ვწერთ დასკვნებს, რომლებიც გავაკეთეთ ანალიზის შედეგად და რეკომენდაციებს, რასაც ჩვენ გავუწევდით ჩვენს კოლეგებს, ერთი მხრივ, მსგავსი კვლევის ჩატარების შემთხვევაში ან/და ამ საკითხზე, – განაფული კითხვის უნარზე – მუშაობის დროს.

აქვე შეიყვანეთ ის ინფორმაცია, თუ როგორ გაუზიარეთ თქვენი კვლევის შედეგები კოლეგებს, რა გამოხმაურება მოჰყვა მათ, ზოგადად რამდენად სასარგებლო იქნება თქვენი კვლევის გაცნობა სხვა მასწავლებლებისთვის, რომლებსაც ანალოგიური საკითხი აინტერესებთ.

რეკომენდაციებში ასახეთ თქვენი რჩევები, თუ რა უნდა გაითვალისწინონ სხვებმა ანალოგიური საკითხით დაინტერესებისას, რა სირთულეს შეიძლება წააწყდნენ და სხვა რეფლექსიური ხასიათის რჩევები.

გამოყენებული ლიტერატურა (1-2 გვერდი)

აქ ჩამოწერთ ყველა იმ ლიტერატურას, რომელიც გამოიყენეთ კვლევის პროცესში. მიუხედავად ავტორის/ავტორებს, დასახელებას, გამოცემის წელსა და ადგილს, გამოცემლობას.

თუ რომელიმე მასალა ელექტრონული სახით გავიყენებულა, გარდა ზემოთ დასახელებული მახასიათებლებისა, მიუთითეთ ამ მასალის ინტერნეტმისამართიც, სადაც იგი მოიპოვეთ.

ჩამონათვალში შეიყვანეთ, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა ციფრული მასალა (ვიდეო, აუდიო, სლაიდპრეზენტაცია...), რომლითაც ისარგებლეთ კვლევის პროცესში, ცხადია, თავისი ინტერნეტმისამართისა და იქ გამოქვეყნების თარიღის მითითებით. ზოგიერთ შემთხვევაში უთითებენ სოლემ დროსაც, წუთობრივი სიზუსტით, რა დროსაც ასეთი მასალა გადმოტვირთეს/ნახეს მითითებულ მისამართზე.

ლიტერატურის ჩამონათვალში დააღაცეთ ავტორთა ან დასახელების ანბანური რიგის მიხედვით (ქვემოთ მოყვანილი მაგალითები მოგონილია, არარეალისტურია).

- 1. აბაშიძე ლევან, განაფული კითხვის გაუმჯობესების სტრატეგიები, თბ., „საქართველო“, 1998.
- 2. განაფული კითხვა, ვიდეოფილმი, www.youtube.com/jkhhggahsvdb/131jhb, 2015 (ნახაზი 2018 წლის 23 სექტემბერს, 23:43-ზე)
- 3. და ა.შ.

(მორიდეთ პარაზიტი გვერდების, – იცით, რომლებსაც ვგულისხმობ, – გამოყენებას). იქ გამოქვეყნებული მასალა ნახეთ ორიგინალ გვერდებზე.)

(აქვე მივუთითებ, რომ წინამდებარე ნაშუქების მომზადებისას გამოყენებულია საკუთარი გამოცდილება. აგრეთვე, მასწავლებლის სახლის სატრენინგო მასალაზე და სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ 2018 წელს გამოცემული და ვით ლიბრტელიანის პუბლიკაცია „სამოქმედო კვლევის სახელმძღვანელო“. გარდა ამისა, სხვა ნაშრომები, რომელთაც ვაქვეყნებ მარტინატირებში სწავლისას და რომელთა ხელახლა მოცემა და მითითება აქ საჭიროდ აღარ მივიჩნევ. ასევე მადლიერებით უნდა აღვნიშნო ჩემი ლექტორთა სწავლებანი ილია-უნიდან. განაფული კითხვის შესახებ ცოდნის წყაროდ ვუთითებ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის სარესურსო ნიგნს.)

დასართი

აქ შეიძლება დავუროთ ფოტომასალა, კითხვარების ნიმუშები, ტესტების მაგალითები, გაკვეთილის/აქტივობის სცენარები და ნებისმიერი რამ, რაც კი დაეხმარება ჩვენი კვლევის ანგარიშის მკითხველს სიტუაციის აღქმასა და საჭირო ინფორმაციის მიღებაში.

სამოღლო გაკვეთილი

# NATÜRMORT

Yuxarı Oruzman ictimai məktəbinin təsviri və tədbiqi incəsənət müəllimi  
Qəşəm Suleymanovun dərslər planı

<b>Dərin əsas məqsədi</b>	Natürmort
<b>Fənn/müəllim</b>	Təsviri və tədbiqi incəsənət / Gəşəm Suleymanov
<b>Tədrisin pilləsi/sınıf</b>	İbtidai pillə/beşinci sınıf
<b>Şagirdlərin profili</b>	Şagirdlərin say 17 şagird
<b>Dərsin məqsədi/Əldə olunması nəticələr</b>	<p><b>Məqsəd: Yaradıcılıq və praktiki qabiliyyətin və vərdişlərin inkişafı</b> <b>Nəticə və nəticənin indiqatoru</b> İstiqamət yaradıcılıq praktiki qabiliyyətin və vərdişlərin inkişafı s.g.V.1. Şagird əsər yaradarkən təsviri və tədbiqi incəsənətin elementlərdən və prinsiplərindən məqsədyüzlü istifadə edə bilər</p> <ul style="list-style-type: none"> <li>Rənglərin gradiasiyasını bacarır</li> <li>s.g.V.2. <b>şagird</b> əsər yaradarkən müxtəlif materiallardan, texniki və proseduradan yaradıcılıqla istifadə edə bilər.</li> <li>Materialı və texnikanı şagird özü seçir</li> <li>s.g.V.3. Şagird ətrafındakı əşyaları, obyektləri, hadisələri, onların arasındakı əlaqələri müzakirə edir və üz işində təsvir edir.</li> <li>Göz önündədi əgər şagird:             <ul style="list-style-type: none"> <li>Şagird obyektin cəhətlərini, rənginin işıqdan asılılığının necə dəyişdiyini müşahidə edir və işində təsvir edirsə;</li> <li>Yaddaşında olan detallardan istifadə edərək naturadan, natürmort çəkir.</li> </ul> </li> </ul>
<b>İkin bilik</b>	Cürbəcür sadə rəsmlərin ştrixlərin cəkmə qabiliyyəti bildikləri xətlərdən və formatlardan istifadə edərək individual iş və kiçik prezentasiyaların nümayiş etdirmə bacarığının olması
<b>İstifadə olunan tədris materialları və texniki resurslar</b>	Beşinci sınıf dərsləri; müəlliflər Nana Majarişvili, Maia Macarişvili Nino Sulagace Resurslar: şagirdlərin işləri qiymətləndirmə rubrikası, karandaş, pastel, quaş, akvarel, gil qablar, kömür, təbaşir, a 4 formatta kağız və s.
<b>Dərsin gedişatı</b>	Şagirdlərə görüş sinfin təşkili (2 dəqiqə) I faza (3 dəqiqə) əqli həmlə şagirdlərə işlərin və qiymətləndirmə rubrikalarının paylanması İkinci faza: biliyin realizasiyası (35 dəqiqə) şagirdlərə öz işlərini nümayiş edirmə imkanının verilməsi Üçüncü faza: refleksiya ( 5dəqiqə)

Qiymətləndirmə rubrikası

	Daha yaxşı bacarır/ tədbiq edir	Bacarıq tədbiq	Bir qədər bacarır/ tədbiq edir	Zəif bacarır/ tədbiq edə bilmir	Bacarmır tədbiq edə bilmir
<b>Mütəşəkillik (vaxt limitinə riayət etmək)</b>	2.5	2	1.5	1	0.5
<b>Materiala, texnikaya və bədii təsviri vasitələrə malik olma</b>	2.5	2	1.5	1	0.5
<b>Yaradıcılıq zamanı Bədii təsvir vasitələrindən nə dərəcədə istifadə edirlər</b>	2.5	2	1.5	1	0.5
<b>Grup işi zamanı əməkdaşlıq</b>	2.5	2	1.5	1	0.5



# ნატურმორტი

სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ოროზმანის საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის, **გაშამ სულეიმანოვის** მეხუთე კლასში ჩატარებული გაკვეთილის გეგმა

<b>გაკვეთილის მთავარი თემა</b>	ნატურმორტი
<b>საგანი/პედაგოგი</b>	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/გაშამ სულეიმანოვი
<b>სწავლების საფეხური/კლასი</b>	დაწყებითი/მეხუთე კლასი
<b>მოსწავლეთა პროფილი</b>	მოსწავლეთა რაოდენობა – 17 მოსწავლე
<b>გაკვეთილის მიზანი/მისაღწევი შედეგები</b>	<p><b>მიზანი:</b> შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება <b>შედეგები და მათი ინდიკატორები:</b> <b>მიმართულება:</b> შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება ს.გ.V.1. მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევრის შექმნისას.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>იყენებს ფერის გრადიაციას;</li> <li>ს.გ.V.2. მოსწავლე მიმართავს სხვადასხვა მასალას, ტექნიკას და პროცედურას ნამუშევრის შექმნისას და შეუძლია მათი შემოქმედებითად გამოყენება.</li> <li>თავად ირჩევს მასალას და ტექნიკას (მაგ. ქსოვილს მოხატავს გუაშის და ტემპერის საღებავებით), ნამუშევარში სასურველი ეფექტის მისაღწევად.</li> <li>ს.გ.V.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში საგნებს, ობიექტებს, მოვლენებს, მათ შორის არსებულ კავშირებს და შეუძლია მათი ასახვა ნამუშევარში.</li> <li>შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:             <ul style="list-style-type: none"> <li>აკვირდება, როგორ იცვლება ობიექტის ზომა, ფერი, სიმკვეთრე დამკვირვებლისგან დაშორების მიხედვით და ასახავს ნამუშევარში;</li> <li>ხატავს პორტრეტს, ნატურმორტსა და პეიზაჟს ნატურიდან და მეხსიერებით მეტი დეტალის გამოყენებით;</li> <li>გამოსახავს საკუთარ თავსა და სხვებს სხვადასხვა რეალურ და გამოგონილ სიტუაციაში მრავალი დეტალის გამოყენებით.</li> <li>ს.გ.V.4. მოსწავლეს შეუძლია გრძობების და იდეების ასახვა ნამუშევარში.</li> <li>გადმოსცემს ნამუშევარში გარკვეულ იდეას (მაგალითად, ქმნის პლაკატს ეკოლოგიურ ან სხვა თემაზე).</li> <li>ს.გ.V.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო.</li> <li>ქმნის დეკორატიულ და გამოყენებით ნამუშევრებს.</li> <li>ს.გ.V.6. მოსწავლეს შეუძლია ითანამშრომლოს სხვებთან როგორც საკუთარი, ისე საერთო მიზნის მისაღწევად.</li> <li>ითხოვს დახმარებას საკუთარი იდეის განსახორციელებლად;</li> <li>ადეკვატურად პასუხობს აუდიტორიის მიერ დასმულ შეკითხვებს.</li> </ul> </li> </ul>
<b>წინა ცოდნა</b>	სხვადასხვა სახის მარტივი ჩანახატების გაკეთების გამოცდილება, ნაცნობი ხაზებისა და ფორმების გამოყენებით ინდივიდუალური მუშაობის და მოკლე პრეზენტაციის გაკეთების გამოცდილება.
<b>გამოყენებული მასალა/ტექნიკური რესურსი</b>	მეხუთე კლასის სახელმძღვანელო, ავტორი – ნანა მაჭარაშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე; რესურსები: მოსწავლეთა ნამუშევრები, შეფასების რუბრიკები, ფანქარი, პასტელი, გუაში, აკვარელი, თიხის ჭურჭელი, ნახშირი, ცარცი, A4 ფორმატის ქაღალდი და ა.შ.
<b>გაკვეთილის მსვლელობა</b>	მისაღმება, კლასის ორგანიზება (2 წუთი) I ფაზა. გონებრივი იერიში (3 წუთი) – მოსწავლეებს დაელოცება მათ ნამუშევრებს, შეფასების რუბრიკას; II ფაზა. ცოდნის რეალიზება (35 წუთი) – მივცემ ნამუშევრების წარდგენის საშუალებას III ფაზა. რეფლექსია (5 წუთი).

შეფასების რუბრიკა

	შეუძლია/ იყენებს	უფრო მეტად შეუძლია/ იყენებს	ნაწილობრივ შეუძლია/ იყენებს	სუსტად შეუძლია/ იყენებს	არ შეუძლია/ ვერ იყენებს
<b>ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო აღჭურვილობის ქონა)</b>	2.5	2	1.5	1	0.5
<b>მასალის, ტექნიკის და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ფლობა</b>	2.5	2	1.5	1	0.5
<b>შემოქმედებითობა, ანუ რამდენად ეფექტურად იყენებს ტექნიკას, მასალას და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს ჩანაფიქრის განხორციელებისთვის</b>	2.5	2	1.5	1	0.5

გამოსდილა

დიფერენსირებული სწავლებით მიღწეული შედეგები

დიმიტრი უზნაძე ამბობდა: „სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის დამახასიათებელი ერთ-ერთი მოთხოვნილება – ინტელექტუალური მოთხოვნილება ე.წ. სწავლის წყურვილი გადაეზარდოს“.

რთულია არ დაეთანხმო, უფრო რთულია მხოლოდ დაეთანხმო. უმთავრესი კი ისაა, თუ როგორ განვხორციელებთ ყოველივეს კლასში. აი, რეალურად სად შეიძლება სირთულის პირისპირ აღმოვჩნდეთ.

მეორე წელია, ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებს ვასწავლი ქართულ სექტორზე. აღსანიშნავია, რომ პატარები ყოველმხრივ მოუმზადებლები მოდიან სკოლაში. მათ არ გააჩნიათ ქართული ლექსიკური ერთეულების მარაგი, რაც მასალის ათვისების აუცილებელი ნიშანპირობაა.

კლასში განსხვავებული შესაძლებლობების 8 მოსწავლე მყავდა. შევისწავლე თითოეულის ფსიქოემოციური განვითარების დონე, ინტელექტის ტიპი. კიდევ ერთხელ, და მას შემდეგ მრავალჯერ, გადავხედე მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას. სწავლება სპეციფიკური იყო, რადგანაც აზერბაიჯანელი მოსწავლეები ქართულად შეისწავლიდნენ საგნებს, რასაც სირთულე ნამდვილად ახლდა. სწორედ მოცემული ეტაპიდან დავიწყე დიფერენცირებული სწავლება, ფაქტობრივად, ორმაგი დიფერენცირება გახდა საჭირო. პირველ რიგში, მომიწია მასალის გამარტივება, შერჩევა, მოდიფიცირება. ინტენსიურად ვიყენებდი ვიზუალურ მასალას, მეც კი თვალსაჩინოებას წარმოვადგენდი – მიმიკით, მოძრაობით, ტონით.

თავდაპირველად, შევავსე მონაცემები, რომელთა ანალიზით დავადგინე, რომ კლასში მოსწავლეთა უმრავლესობა მხედველობითი აღქმით ითვისებდა. ამიტომაც ვეცადე გამომეყენებინა თვალსაჩინოებები, ბავშვებს მოსწონდათ კეთებით სწავლება, მიღებული ინფორმაციის, ცოდნის გამოყენება განსაკუთრებულ სიახლოვეს ანიჭებდათ. მათ ვთავაზობდი სხვადასხვა სახის დავალებებს, შესაბამისად, ჰქონდათ არჩევანის თავისუფლება. მსგავსი სტილით დავემიღმა ვაკეეთილებმა თითოეული მოსწავლე აქტიურად ჩართო საგაკვეთილო პროცესში, აუმაღლდათ მოტივაცია, კლასის მართვის საკითხიც მარტივად გადაიჭრა. ამ მიდგომით ვაკეეთილის დავალებმა შრომატევადი პროცესია. მასწავლებელი თვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლის ტიპს, შესაძლებლობას, რომლის გათვალისწინებით ადგენს დავალებებს, აქტივობებს, ამზადებს რესურსებს.

დიფერენციალური სიტყვაა და ნიშნავს განსხვავებას, დაყოფას. მოცემულ შემთხვევაში იყოფა მიდგომა სწავლებისადმი, დაყოფის საფუძველია თითოეული მოსწავლის გამოცდილება და შესაძლებლობები. მასწავლებლის მოვალეობაა ცალკეული მოსწავლის სპეციფიკური საჭიროებების დადგენა. საკლასო ოთახში დიფერენცირებული სწავლების თეორიის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატში – ერთი, როდესაც სასწავლო მასალა და აქტივობები ყველა მოსწავლეს გათვალისწინებული და მთლიანად მოსწონს და მეორე, როდესაც ჯგუფის ფორმირება ხდება სწავლის მოდულის მიხედვით, შემუშავებულია შესაბამისი დავალებები, სავარჯიშოები.

დიფერენცირებული სწავლებისას მასწავლებლის როლი შესაძლებელია შემდეგი სახით წარმოვადგინოთ – მასწავლებელი, როგორც კოლეგა მწვრთნელი, ნამქვზებელი. ასეთი მიდგომის ეფექტური გამოყენება დამოკიდებულია მასწავლებელზე – რამდენად კარგად იცნობს ჯგუფს, რამდენად ითვალისწინებს მათ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებას. ეს არის მიდგომა, რომელიც ავსებს ყოველი სახის პრობლემას, ამასთანავე, მოითხოვს დიდ ძალისხმევას, დროს, ენერჯიას. უპირატესობების ჩამონათვალი ვრცელია.

დიფერენცირებული მიდგომა და მრავალმხრივი ინტელექტის კოორდინირებულად განხილვა-გამოყენება საგაკვეთილო პროცესს თითოეული მოსწავლისათვის საინტერესოს ხდის, რადგან დავალებს ეტაპზე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ინტელექტის ტიპი. პროცესი საინტერესო, შრომატევადი და რთული იყო, მაგრამ მიღებულმა შედეგმა თითოეული ჩვენგანის მოტივაცია ააბაღლა.

დღეს უკვე ჩვენ ქართულად ვსაუბრობთ, ვაკეეთილზე ვავსებთ კროსვორდებს, ვავსებთ მარტივ სქემებს, შეგვიძლია ილუსტრაციების აღწერა, პერსონაჟების დახასიათება, კანონზომიერების დანახვა, მონაცემთა შეგროვება, ლექსის შესწავლა ილუსტრაციის გამოყენებით, შესაბამისი ნახატის შექმნა, მუსიკალური კომპოზიციის შერჩევა, ლექსში გამოყენებული სიტყვების ასოებიანი ბარათებით აწყობა, ცხრილის შექმნა – რამდენი სტროფია ლექსში, რამდენი სიტყვა... კითხვისას ჯგუფურად დაყოფა შესაძლებლობების მიხედვით, მასალის მიწოდება, როლური თამაშით წარმოდგენა, ვერკვევით ბევრ საკითხში.

აღნიშნული მიდგომის გამოყენებით დავგეგმე ვაკეეთილი I კლასში.

გაკვეთილის გეგმა

Table with 2 columns: Topic/Subject and Content/Duration. Topics include Class/Classes, Main subject, Start date, Lesson topic, and Lesson duration (35 min).

კლასის დახასიათება: კლასში არის 8 მოსწავლე, რომლებიც წარმოადგენენ აზერბაიჯანელ ეთნიკურ უმცირესობას. მოსწავლეები არ ფლობენ ქართულს, მწირი ლექსიკური მარაგიც კი არ აქვთ. მოსწავლეების ნაწილს უჭირს მასალის ათვისება. ძირითადად, ვმუშაობთ ილუსტრაციებით.

სასწავლო მიზნები და მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლეები შეძლებენ შესწავლილი გეომეტრიული ფიგურების დასახელებას, ამოცნობას მათი მახასიათებლის მიხედვით, შეძლებენ მსგავსების დანახვას გეომეტრიულ ფიგურებსა და საგნებს შორის, შეძლებენ აპლიკაციის აწყობას. გაუთავსდებიან ბუკთან მუშაობის ჩვენებები. მათ. I.1. მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთს შეუსაბამოს რიცხვები, რიცხვითი სახელები და რაოდენობები. • ირჩევს და ქმნის მოცემული რიცხვის შესაბამისი რაოდენობის საგანთა ერთობლიობას და პირქით; • მოცემულ საგანთა ერთობლიობას შეუსაბამებს რიცხვს. მათ. I.2. მოსწავლეს შეუძლია რიგობრივი რიცხვითი სახელების გამოყენება. • საგანთა მონერსირებულ ერთობლიობაში ასახელებს მითითებული საგნის რიცხვს; • მოცემული თანმიმდევრობით და მითითებულ პოზიციებზე განათავსებს საგნებს. მათ. I.6. მოსწავლეს შეუძლია ბრტყელი გეომეტრიული ფიგურის ამოცნობა და აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ყოფითი დანიშნულების საგნებში ან მათ ილუსტრაციებში უთითებს დასახელებულ ბრტყელ ფიგურებს. მათ. I.7. მოსწავლეს შეუძლია ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების გამოსახვა და ობიექტთა ურთიერთმდებარეობის ამოცნობა. • რომელიმე ხერხით (მაგალითად, აპლიკაციით ან ნახატის საშუალებით) ქმნის დასახელებული ფორმის ბრტყელი ფიგურის მოდელს ან გამოსახულებას.

გაკვეთილის მსვლელობა/საკლასო მენეჯმენტი: „გონებრივი იერიში“ (3წთ). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ გეომეტრიული ფიგურები გონებრივი იერიშის გამოყენებით.

აქტივობა – ჯამბაზის დეტალები – კითხვები (10წთ). ყურადღებას გაამახვილებენ კედელზე გეომეტრიული ფიგურებით აწყობილ ჯამბაზზე. დაისმება კითხვები: რა არის ეს, ჯამბაზის ხელეებისთვის რომელი გეომეტრიული ფიგურაა გამოყენებული, რამდენი წრეა, რამდენი სამკუთხედია გამოყენებული? კიდევ რომელი საგანი ჰგავს ამა თუ იმ გეომეტრიულ ფიგურას. ფლიფარტზე დაანებებენ ჩამოთვლილ, სხვადასხვა ფერის, გამოჭრილ გეომეტრიულ ფიგურას. ერთ-ერთი მოსწავლე დანომრავს. დავსვამ კითხვებს: რამდენი გეომეტრიული ფიგურაა? მერამდენია სამკუთხედი? რა ნომრითაა წარმოდგენილი წრე?

აქტივობა – „აბა გამოიცანი“ (3წთ). მოსწავლეებს დაუვრიგებ გეომეტრიულ ფიგურებს. გავაცნობ ინსტრუქციას, გამოარჩიონ ჯგუფიდან დასახელებული ფიგურა. თამაში „აბა გამოიცანი“. აღვწერ გეომეტრულ ფიგურას. მოსწავლემ უნდა შეძლოს მისი იდენტიფიცირება, მაგ.: აქვს სამი კუთხე, სამი გვერდი, სამი წვერო (სამკუთხედი).

აქტივობა – ასოციაცია (2წთ). მოსწავლეებს სხვადასხვა საგნების სურათებს ვაჩვენებ, მათ უნდა შეძლონ შესწავლილ ფიგურებთან მიმსგავსება, დასახელება.

აქტივობა – ჩხირებით აწყობა (2წთ). დავუვრიგებ ჩხირებს, ვკითხავ შეძლებენ თუ არა მითითებული ფიგურის აწყობას. მოსწავლეები ააწყობენ ფიგურებს.

აქტივობა – შესაკრებთა ჯამი (5წთ). მოსწავლეები მიუბრუნდებიან ფლიფარტზე განლაგებულ გეომეტრიულ ფიგურებს, დავუსვამ კითხვებს: რა ფიგურაა, რამდენი გვერდი აქვს, დავწერ შესაბამის ციფრს თითოეულ ფიგურაზე. დავსვამ კითხვას: შესაძლებელია თუ არა, ოთხი წარმოვადგინოთ ორი შესაკრების ჯამის სახით? მსგავსი ტიპის მაგალითებს მოსწავლეები შეასრულებენ დაფაზე (გათვალისწინებულია მოსწავლის მზაობა), ციფრს თავად კლასი დაუსახელებს ან მასწავლებელი, კლასი ამოწმებს მას.

აქტივობა – ინდივიდუალური სამუშაო (5წთ). მოსწავლეებს დაურიგებთ სამუშაო ფურცლები, შეავსებენ, შეასრულებენ მსგავსი ტიპის დავალებას, ან მოცემულ გეომეტრიულ ფიგურას დაუწერენ მახასიათებლებს, ან მახასიათებლებით დახაზავენ და გააფერადებენ ფიგურას.

აქტივობა – წუთშესვენება. აქტივობას შეასრულებენ ერთობლივად, ტექსტის შესაბამისი მოძრაობებით. ერთი, ორი – ფეხზე ვდგებით, სამი, ოთხი – ვიმართებით, ხუთი, ექვსი – განზე ვსტებით, შვიდი, რვა – ვტრიალდებით, ცხრა, ათი – ვუკრავთ ტაშს. მოსწავლეებს დავუსვამ კითხვას, შესაძლებელია თუ არა გეომეტრიული ფიგურებით სხვადასხვა საგნების აწყობა.

აქტივობა – აპლიკაცია (5წთ). დავურიგებ სხვადასხვა ზომის, ფორმის, ფერის გეომეტრიულ ფიგურებსა და თაბახის ქაღალდებს, მოსწავლეები შექმნიან აპლიკაციებს. ნამუშევრებს გამოვჩვენებ საკლასო ოთახში, ან აპლიკაციას ააწყობენ ბუკში, ან თავად დახაზავენ და გააფერადებენ გეომეტრიულ ფიგურებს.

აქტივობა – დავალების მიცემა (5წთ). დავალებად მივცემ ნინასწარ მოზადებულ თაბახის ქაღალდზე გეომეტრიულ ფიგურებს გასაფერადებლად, შესაბამისი გვერდების კუთხეების, წვეროების რაოდენობას ჩანერენ. ფიგურის აღწერით ამოცნობა და დახაზვა (დავალების მიცემისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობა).

მოსალოდნელი პრობლემები და შესაძლო პრობლემის გადაჭრის გზები: ვაკეეთილის მსვლელობა შესაძლებელია შეაფერხოს ლექსიკური მარაგის სიმწირე მოსწავლეებში, კლასში არიან მოსწავლეები, რომლებიც მარტივად ითვისებენ და იგებენ მასალას, ნაწილს უჭირს მასალის გააზრება და დამატებითი კითხვები და თვალსაჩინოება საჭირო. გამოვჩვენებ იქიდან, რომ დაისმება ფრონტალური კითხვები, შესაძლებელია, კლასის გარკვეული ნაწილი ვერ ჩაერთოს აქტიურად.

სასწავლო რესურსები: მათემატიკის წიგნი, რეველი, ჩხირი, ფლიფარტი, ფერადი გეომეტრიული ფიგურები, ნებო, ბუკი, გეომეტრიული ჯამბაზი, აპლიკაციით აწყობილი პოსტერი, თაბახის ქაღალდები.

შეფასება და თვითშეფასება (შეფასების კრიტერიუმები, მეთოდები და საშუალებები): მოსწავლეები შეფასდებიან განმავითარებელი კომენტარით შესრულებულ დავალებაზე. შეაფასებენ საკუთარ ნამუშევარს.

- შეჯამების სახით კი დიფერენცირებული სწავლების უპირატესობებს წარმოგიდგინთ:
• ადვილად დაიძლევა სიძნელებები;
• ყველა მოსწავლე ჩართულია სამუშაოში;
• აქტიურად ფორმირდება პიროვნული თვისებები;
• აქტიურად მიმდინარეობს მასალის შინაარსის გადაამუშავება;
• მეთოდი უზრუნველყოფილია დიდაქტიკური კუთხითაც;
• ექვემდებარება მონიტორინგს.

ნათია ნადარეიშვილი
ირვანჯიის საჯარო სკოლის კონსულტანტი მასწავლებელი,
პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“

გამოყენებული ლიტერატურა:
1. http://mastsavlebeli.ge/?p=17651;
2. http://mastsavlebeli.ge/?p=2122;
3. http://mastsavlebeli.ge/?p=2017;
4. http://orioniblog.blogspot.com/2011/07/blog-post\_9990.html.

საქართველო

# დაისავი შენი შვილი – აზარტული თამაშები საქართველოში

აზარტული თამაშების მიმართ საზოგადოების დიდი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, საქართველოში, ეს ბიზნესი საკმაოდ პარტიატარებელი. არაერთი სათამაშო დაწესებულება – ტოტალიზატორი, სამორინე, პოკერ-კლუბი, სლოტ-კლუბი და სხვ. – ფუნქციონირებს და ეს დაწესებულებები მომხმარებელთა სიმცირეს არ განიცდიან. უფრო მეტიც, სწორედ, სლოტ-კლუბები თუ ტოტალიზატორები სავსეა მოზარდებით. ონლაინ-თამაშების გავრცელებამ კიდევ უფრო გააძლიერა არასრულწლოვანთა წვდომა აზარტულ თამაშებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვანს ეკრძალება აზარტულ თამაშებში ჩართვა, მოზარდები ამას მაინც მარტივად ახერხებენ, რადგან ამ გზაზე სერიოზული წინააღმდეგობა არ არსებობს, არადა მოზარდებისთვის აზარტულ თამაშებზე წვდომის შეზღუდვა ევროპული სანქციონირების ერთ-ერთი პრიორიტეტია.

რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში, როგორ რეგულირდება კანონით სათამაშო ბიზნესის საქმიანობა? რატომ თამაშობენ მოზარდები ასე აქტიურად აზარტულ თამაშებზე? როგორია კანონით დადგენილი ასაკობრივი ცენზი და რა შეზღუდვა არსებობს აზარტულ თამაშებთან მიმართებაში? რატომ ვერ სრულდება კანონი, რომელიც მოზარდებს აზარტულ თამაშებში მონაწილეობას უკრძალებს და რა გვიჩვენებს 2019 წელს ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა? – ამ საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება აზარტული თამაშების კვლევისა და ლუდომანიის პრევენციის ცენტრის დამფუძნებელი გუბა ბესელია.



– როდის დაარსდა აზარტული თამაშების კვლევისა და ლუდომანიის პრევენციის ცენტრი და რა არის თქვენი საქმიანობის მიზანი?

– ჩვენი ორგანიზაცია 1 წლის წინ დაარსდა. მანამდე აზარტულ თამაშებს ვიკვლევდით, ვმუშაობდით ლუდომანიის მიმართულებითაც, ვსწავლობდით საქართველოში არსებულ რეალობას. აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოში ყოველ მე-5 ადამიანს შეხება აქვს სამორინეებთან. 2017 წელს, მხოლოდ ონლაინ სამორინეების ბრუნვამ 5.65 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო საქართველოში რეგისტრირებულია 500 000 ე.წ. ექსპანტი. ეს მონაცემი, ლუდომანიის მიმართულებით, ძალიან მძიმე სოციალურ ფონზე მეტყველებს. 2017 წელსვე, მარკეტებისა და მალაზიების ბრუნვა 4 მილიარდ ლარს შეადგენდა, მოგვსენებდა, კვება ყველა ადამიანს (3.7 მილიონი მოსახლე) სჭირდება. ონლაინ სამორინეში, მაქსიმუმ, 500 000 მოქალაქე თამაშობს, თუმცა ფაქტია, რომ ონლაინ სამორინეს კაპიტალბრუნვა ბევრად აღემატება მარკეტების და მალაზიების ბრუნვას. დასკვნა ერთია, ქართველი „გემიერები“ უფრო მეტ ფულს ხარჯავენ ონლაინ სამორინეში, ვიდრე საქართველოს მოსახლეობა – კვებაში.

– აზარტული თამაშების კვლევისა და ლუდომანიის პრევენციის მიზნით, რა სახის მუშაობა ტარდება სკოლებში და რას გვიჩვენებს კვლევა ამ მიმართულებით?

– თბილისის მერიის მხარდაჭერით, ლუდომანიის პრევენციის მიზნით, თბილისის სკოლებში ჩავატარეთ ლექცია-სემინარები, სადაც განხილული იყო ის მძიმე შედეგები, რაც აზარტულ თამაშებთან შეხებას მოჰყვება. თბილისში, თითქმის ყველა უბნის სკოლების მოსწავლეები გამოვკითხეთ, სულ 500 მოზარდი (14-18 წლისა). ისინი ანონიმურ კითხვაზეებს ავსებდნენ, შესაბამისად, პასუხები იყო გულწრფელი და მიღებული შედეგებიც რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული.

– საიდან აქვთ ინფორმაცია ონლაინ თამაშების შესახებ და თუ აქვთ წარმოდგენა აზარტული თამაშების უარყოფით შედეგებზე?

– რაც შეეხება ინფორმირებულობას ონლაინ სამორინეების და მათ მიერ დაანონსებული აქციების შესახებ, მოზარდებს იმაზე მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე თვითონ ონლაინ სამორინეებს ერთმანეთს შესახებ. რაც შეეხება ცნობიერების საკითხს, ანუ რამდენად იციან, რომ ონლაინ სამორინე მხოლოდ გართობის კი არაა, სერიოზული ზიანის მომტანიცაა როგორც ჯანმრთელობის, ისე ცნობიერების დამახინჯების

მიმართულებით, ამ საკითხში მეტ ინფორმირებულობას საჭიროებენ. სწორედ ამიტომ გამოვედით ინიციატივით, ჩავვეტარებინა ლექცია-სემინარები სკოლებში. მოზარდებს მათემატიკური გათვლებით ვუმტკიცებთ, რომ ყველა აზარტული თამაში, რომელიც ონლაინ სამორინეებშია, ისეა მოწყობილი, რომ დროის გარკვეულ პერიოდში, აუცილებლად გაგვიყვანს წაგებაზე. ინფორმირებულობის თვალსაზრისით, კვლევამ აჩვენა, რომ ლიდერობს ინტერნეტრეკლამა – 75%, ბილბორდი – 47%, SMS შეტყობინება – 54%, სატელევიზიო რეკლამა – 37%, სამეგობრო წრე – 41%.

– აზარტული თამაშების რომელი სახეობაა ახალგაზრდებში ყველაზე მეტად პოპულარული?

– კვლევამ გვიჩვენა, რომ მოზარდების ძირითადი ნაწილი, ერთდროულად, სხვადასხვა კატეგორიის აზარტული თამაშებითაა დაკავებული. სტატისტიკა ასეთია: პოკერი – 37% (მამრობითი – 24%, მდედრობითი – 13%); სლოტები – 43% (მამრობითი – 25%, მდედრობითი – 18%); ტოტალიზატორი – 34% (მამრობითი – 24%, მდედრობითი – 10%) რულეტე – 35% (მამრობითი – 19%, მდედრობითი – 16%); სამაგიდო თამაშები (ნარდი, ბურა, დომინო) – 52% (მამრობითი – 20%, მდედრობითი – 32%).

– რა სახის რეგულაციები უნდა ამოქმედდეს სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით, რომ ვითარება გაუმჯობესდეს?

– ამ ეტაპზე, ჩვენი ორგანიზაცია მუშაობს კანონპროექტზე, რომელიც ორი საკითხის რეგულაციას გულისხმობს: პირველი, უნდა გამკაცრდეს ონლაინ სამორინეში რეგისტრაცია. მიმართა, რომ გამოსავალი საჯარო რეგისტრაციის წვდომასთან – სახელმწიფომ უნდა მოსთხოვოს ონლაინ სამორინეს საჯარო რეგისტრაციის წვდომა, რაც თავისთავად გამოიწვევს არასრულწლოვანთა რეგისტრაციას, ასევე, უნდა შეიქმნას მონიტორინგის სამსახური, რომელიც გააკონტროლებს არსებულ და ახალშექმნილ ექსპანტებს და დარწმუნდება, რომ დამრეგისტრირებული პირი სრულწლოვანია.

მეორე, რეგულაცია უნდა შეეხოს ონლაინ სამორინეების აგრესიულ მარკეტინგულ კამპანიას. მოგვსენებდა, აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამის გავრცელებით იკრძალება რელიგიური, საბავშვო, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში, კულტურისა და სპორტის ორგანიზაციებში (მათგან 100 მეტრის რადიუსშიც). ასევე იკრძალება აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამირება ტელევიზიით, რადიოთი, ინტერნეტითა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, გარდა სპონსორობისა. არავითარ ჩარჩოებში არ

ვდება ის ფაქტი, რომ სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე და მოზარდების თავშეყრის ადგილებში გვხვდება უზარმაზარი და ძვირადღირებული სარეკლამო ბანერები. სამწუხაროდ, სატელევიზიო და ინტერნეტსივრცეში არსებული რეკლამები არანაირ კონტროლს არ ექვემდებარება.

– ვინ უნდა დაეხმაროს ლუდომანს?

– ამ მიმართულებით საჭიროა სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნა. სამწუხაროდ, საქართველოში ამ პრობლემაზე არავინ მუშაობს ან, თუ მუშაობს, დიდად ამ საკითხზე ფოკუსირება არ ხდება. რეაბილიტაციის ცენტრები მრავლადაა საზღვარგარეთ. ყველაზე აპრობირებული მეთოდია ჯგუფური ფსიქოლოგიური თერაპია. რა თქმა უნდა, ცენტრში მკურნალობას სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს. შესაძლოა, ასევე, გამოვიყენოთ შვედური მოდელი, სადაც თვითონ სამორინეები აფინანსებენ სარეაბილიტაციო ცენტრებს.

– ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, პარლამენტში წარდგენილი იყო პროექტი, რომელიც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნას ითვალისწინებდა. შესაძლებელია თუ არა ასეთი ოფიციალური სტატისტიკის არსებობა?

– თუ ბაზის შექმნა მხოლოდ სტატისტიკისთვის გეგმიურია, ამის მოგვარება კვლევითაც შეიძლება. დარწმუნებული ვარ, ანონიმური კვლევით უფრო სწორ მონაცემებს მივიღებთ.

– რა ინიციატივების განხორციელებას გეგმათ მომავალში?

– რაც შეეხება მომავალ გეგმებს, მინდა აღვნიშნო, რომ გაგრძელდება ლექცია-სემინარები სკოლებში და ვაპირებთ მთელი საქართველო მოვიცვათ. ასევე, ამ პროექტის ფარგლებში, ჩავატარებთ კვლევას, უკვე საქართველოს მასშტაბით. გვინდა, პრევენციული ზომების შესახებ ვესაუბროთ მოზარდებს და აუცილებლად მათ მშობლებს, რათა უკეთ შეძლონ საკუთარი შვილების მაქსიმალური კონტროლი. ასევე, მშობელთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, „აზარტული თამაშების კვლევისა და ლუდომანიის პრევენციის ცენტრი“ გეგმავს სოციალურ ქსელში საინფორმაციო კამპანიას – „დაიცავი შენი შვილი“ – დაწყებას და, როგორც გითხარით, ვამზადებთ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს რეგულაციის ორ ძირითად საკითხს – აგრესიული მარკეტინგული კამპანიის რეგულაციას და რეგისტრაციის გამკაცრებას ონლაინ სამორინეებში.

ესაუბრა მაკა ყიფინიძე

## სწავლების მეთოდი

# ზეპირი ანგარიში დაწყებით კლასებში

თანამედროვე განათლება ორიენტირებულია მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე, მათთვის ისეთი უნარ-ჩვევების გამოუმუშავებაზე, რაც დაეხმარება, მიღებული ცოდნა არა მარტო სასწავლო პროცესში, არამედ ნებისმიერ ცხოვრებისეულ ვითარებაში გამოიყენონ. ამიტომ სწავლების პროცესში უნდა დაიგეგმოს ისეთი აქტივობები და მეთოდები, რომლებიც ასეთი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსწავლეთა ინტერესი და შესაძლებლობები.

დანყვებით მათემატიკის სწავლების პროცესში, მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა ზეპირგამოანგარიშებათა უნარ-ჩვევების ფლობა. ზეპირ ანგარიშს დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს დანყვებით მათემატიკის ყოველ გაკვეთილზე. განსაკუთრებით მაშინ, როცა წინარე ცოდნის გააქტიურება, ახალ მასალაზე გადასვლა და ა.შ. ზეპირი ანგარიშის გზით ხდება. ზეპირი ანგარიშის დროს მოსწავლე მექანიკურად კი არ ანარმოებს რიცხვებზე მოქმედებას, არამედ იგი რიცხვს წარმოადგენს მისი შემადგენელი ნაწილების გათვალისწინებით. აქ მოსწავლე გრძობს, რომ მას „მკვდარ“ ციფრთან კი არა აქვს შეხება, არამედ – „ცოცხალ რიცხვებ-

თან“, რომლებზედაც გააზრებულად ანარმოებს ამა თუ იმ მოქმედებას და ცდილობს მიიღოს პასუხი. ზეპირი ანგარიში დროის დიდ ეკონომიას გვაძლევს, ასე შეგვიძლია გამოვაგლინოთ ის მოსწავლეები, რომლებსაც დახმარება სჭირდება. ცნობილია, რომ ყოველ მოსწავლეს სხვადასხვა აზროვნების ტემპი აქვს, ზოგი სწრაფია, ზოგი ნელა აზროვნებს. ამიტომ, ზეპირი ანგარიშის დროს, მეტად მომგებიანია შესაბამისი თემატური თამაშის შემუშავება, თამაშის წყალობით მტკიცე, შეგნებულ ცოდნას მიიღებენ მოსწავლეები. დანყვებით საფეხურზე ბავშვის ყურადღება მიჯაჭვულია თამაშთან, თამაში აქტიურებს ზეპირი ანგარიშის უნარ-ჩვევებს, უხდებთ ადრე მიღებული ცოდნის გადატანა მათთვის სასურველ გასწავლებაში. თამაშის დროს მოსწავლეებში წარმოიქმნება დადებითი ემოციები, რაც, თავის მხრივ, სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს, ეს კი საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მაქსიმალურად განვიითარონ მაღალი სააზროვნო უნარები. აქვე დავძენთ, რომ არაა საჭირო ცნებების, განმარტებების, ზეპირი ანგარიშის ყველა წესისა და ხერხის დაზეპირება. მაგრამ სწავლება ისე უნდა წარიმართოს, რომ მოსწავლეები კარგად ერკვეოდნენ არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებებში და, ამ თვისებების ყოველ

შესაძლო შემთხვევაში გამოიყენებინათ, თვითონ ქმნიდნენ ამა თუ იმ მაგალითს ზეპირად და მოკლე გზით გადაჭრის ხერხებსაც თვითონვე შეიმუშავებდნენ.

